ოქმი:**ო37.37210321**

თარიღი:**01/02/2021**

ოქმი N1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

2021 წელი, 29 იანვარი

ქ. ოზურგეთი

12.00 საათი -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-- საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, შ.გოგიბერიძე, ლ.მგელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, დ.მდინარაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ლ.ნინიძე, პ.კიღურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ბ.თოიძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, თ.ტუღუში, ლ.სიჭინავა, ტ.მგელაძე.
მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.
სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 32-ხმით.

დღის წესრიგი

1.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ლაშა თავაძე

ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს დადგენილების პროექტს, წესი დაარეგულირებს მუნიციპალიტეტში სამგზავრო გადაზიდვას, მის შესრულებაზე უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი.

ამ საკითხის განხილვისას სამგზავრო გადაზიდვის მარშრუტებზე შეკითხვები დასვეს საკრებულოს წევრებმა: დ.მდინარაძემ, ვ.ჩიგოგიძემ, თ.ტუღუშმა და მ.ზოიძემ.

1.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ დასვა შეკითხვა-გათვალისწინებულია თუ არა წინა წლის გეგმაში არსებული ნაკლოვანებები? და განაცხადა, რომ გეგმა უთუოდ დასახვეწია.

საკრებულოს წევრმა ნ. ორაგველიძემ დასვა შეკითხვა გრანტის თაობაზე-მიეცა განმარტება.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დახურვის შემდეგ განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა: ლ.ნინიძემ -სოფელ ასკანის ბუნებრივი აირით მომარაგების თაობაზე, ვ.ჩიგოგიძემ -რეაბილიტირებული თეატრის ოფიციალურად გახსნის, თეატრის წინ არსებული მოედნისათვის სახელის გადარქმევისა და „თეატრალური მოედნის“ დარქმევის, მგზავრთა მოსაცდელებში სააფიშო სტენდების მოწყობის შესახებ; თ. მარშანიშვილმა-გაზეთ „ლიტერატურული გურია“-ს გამოწერის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ საკრებულოს წევრებს მოუწოდა აპარატთან შეთანხმებით, თებერვლის თვეში ჩაებარებინათ 2020 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშები.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი